მიუტევებელი შეცდომები

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ნეფტიანიკი” (ბაქო) - 4:3 (2:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

“ნეფტიანიკი”: შეხოვი (კრამარენკო), ჯალილოვი, ბრუხტი, ბაბაევი, ტროფიმოვი, ფალკოვსკი (გოლოდეცი), ტუაევი, ბოგდანოვი, კუზნეცოვი, მარქაროვი, გაჯიევი.

მსაჯი: ს. ფაიბუსოვიჩი (ხარკოვი).

7 ბურთი ისეთ მატჩში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ქულებით უაღრესად დაინტერესებული მეტოქენი - მეტისმეტია. ჩვეულებრივ, საქმეს წყვეტს ხოლმე 1-2 გოლი, აქ კი ერთბაშად - 7!

მაგრამ გოლიც არის და გოლიც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, გატანილი ბურთი ფორვარდის ხელოვნების ნაყოფია, თუ შედეგი დაცვის შეცდომისა. როცა უკანა ხაზის მოთამაშეთა ნერვიულობა, ტაქტიკური ან ტექნიკური ლაფსუსი საშუალებას აძლევს მოპირდაპირე ფორვარდს გამოიყენოს ის მომენტი, რომელიც საფეხბურთო ბრძოლის კანონებით არ უნდა მთავრდებოდეს კარის აღებით.

ასეთი შეცდომები საკმაოდ იქნა დაშვებული ორივე გუნდის დაცვაში, მაგრამ... “ნეფტიანიკის” პრობლემები კარის უხიფათოების უზრუნველყოფისა ამჯერად ჩვენი განსჯის საგანს არ წარმოადგენს. ეს ბაქოელთა საქმეა. ჩვენ ვილაპარაკოთ იმ დასანან შეცდომებზე, რომლებსაც მოჰყვა 3 გოლი თბილისელთა კარში.

“ნეფტიანიკს” სამი მეტად სახიფათო ფორვარდი ჰყავს თავდასხმაში. ესენია: კუზნეცოვი, ტუაევი და მარქაროვი. საჭირო იყო მკაცრი კონტროლის დაწესება ამ “ტრიოს” მიმართ, მათი ურთიერთმოქმედების მოშლა და ბევრი რამ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე მოგვარდებოდა.

მაგრამ ეს ზომები არ იქნა მიღებული. გაუგებარია, რატომ გაურბოდა ცხოვრებოვი ტუაევთან შეტაკებას და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა მას. თავდასხმის ცენტრი - კუზნეცოვი შეუფერხებლად თამაშობდა ვრცელ ტერიტორიაზე, ანაწილებდა ბურთებს და საშუალებას უქმნიდა თავის უახლოეს პარტნიორს მარცხნივ - მარქაროვს მიზანში ჰქონოდა ამოღებული დინამოელთა კარი.

აშკარად თავის შესაძლებლობებზე დაბლა ითამაშა კოტრიკაძემ. ბურთები, რომლებიც ჩვენს მეკარეს გამოჰქონდა კარიდან, არ მიეკუთვნებოდა აუღებელთა კატეგორიას და კოტრიკაძეს რომ მეტი ყურადღება გამოეჩინა, არ ენერვიულა, 15 ოქტომბრის მატჩს “დინამო” ალბათ დიდი ანგარიშით მოიგებდა.

ყოველივე ამას იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ წინაა უკიდურესად საპასუხისმგებლო შეხვედრები, პირველ ყოვლისა, მატჩი მოსკოვის “ტორპედოსთან” და თბილისელთა მთელი კოლექტივი, განსაკუთრებით კი დაცვა, მას სრულ წესრიგზე უნდა შეხვდეს.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თბილისელებს ამ დღეს გამარჯვება მოუტანა მხოლოდ ნახევარდაცვისა და თავდასხმის კარგმა თამაშმა. წინა ხაზზე უდავოდ უძლიერესი იყო მესხი. მან საუცხოოდ ითამაშა და დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში. სწორედ მესხი იყო, რომელმაც გახსნა ანგარიში (მე-2 წუთზე) და როცა მცირე ხანს შემდეგ ჯალილოვმა გაიტანა კოტრიკაძის მიერ ხელიდან

გაშვებული ბურთი, მან მეორედ აიძულა ბაქოელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში - 2:1.

შესვენების შემდეგ ბარქაიამ რამდენიმე მცველსა და მეკარესთან ბრძოლაში მესამე გოლი გაიტანა - 3:1. ამის შემდეგ, 55-ე წუთზე ბოგდანოვმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში და ძელს მოხვედრილი ბურთი კარში გავიდა - 2:3.

დინამოელები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ 63-ე წუთზე. დათუნაშვილმა ხვეული ბურთი მიაწოდა კუთხურიდან და... დანარჩენი იხილეთ ფოტოსურათზე!

და მაინც ჩვენმა გუნდმა ვერ შეინარჩუნა ეს უპირატესობა: მარქაროვმა კიდევ ერთხელ შეამცირა განსხვავება ანგარიშში - 3:4.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 17 ოქტომბერი, 1964 წ.